სკოლის დასახელება	სსიპ თბილისის ზურაბ იარაჯულის სახელობის #106 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ინა მეცხვარიშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან	„ჩვენი სამხრეთი“ - მარიანე კაურინი.
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი საფეხური/ IV კლასი
მისაღწევი შედეგები	• **მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის წაკითხვა და გაგება-გააზრება;** ✓ <u>ამოიცნობს</u> ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას); ✓ საკუთარი სიტყვებით <u>გადმოსცემს</u> ტექსტის მოკლე შინაარსს; ✓ <u>გამოყოფს</u> ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას; ✓ <u>მოიძიებს</u> კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს); ✓ <u>აკავშირებს</u> ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; ✓ <u>ამოიცნობს</u> ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს; ✓ <u>ასახელებს</u> მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებს, განსაზღვრავს ხედვის კუთხეს (ვისი თვალით არის აღქმული მოვლენები); ✓ <u>შეარჩევს</u> (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) ტექსტის შესაბამის ვიზუალურ მასალას - ქმნის დიორამას, კომიქსს, ილუსტრაციას, ან გამოძერწავს. ✓ <u>ცვლის</u> მხატვრული ნაწარმოების დასასრულს. ✓ **ინტეგრირება მათემატიკასთან.**
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეს შეუძლია წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის	1. ,,დასახლება ტიტენი ახლა და შემდეგ“ – 2 გაკვეთილი 2. ვითვლით ზაფხულის არდადეგების ხანგრძლივობას - 1 გაკვეთილი 3. „ნეტავ რამე მოხდეს“ - სურვილის ასრულება - 1 გაკვეთილი.

რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	
აქტივობა 1 **,,დასახლება ტიტენი ახლა და შემდეგ“**	<table><tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr></table> მასწავლებელთან ერთად, მოსწავლეები ყურადღებით გაეცნობიან ტექსტში ნახსენები ადგილის აღწერას, მოიძიებენ ინტერნეტის დახმარებით ადგილის შესახებ ინფორმაციას. მოახდენენ, ტექსტში აღწერილი მახასიათებლების მიხედვით ილუსტრაციის შექმნას, სადაც შეეცდებიან თვალსაჩინოდ წარმოადგინონ აღნიშნული ადგილი. შემდეგ კი შექმნიან ამ ადგილის საუკეთესო ვერსიას, საკუთარი ხედვით. მასწავლებელი შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, საკუთარი სურვილისამებრ შეასრულონ ეს აქტივობა - დახატონ, გამოძერწონ, გამოჭრან. ამ აქტივობის მიზანია, ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება და კონკრეტული მონაკვეთის ,,გაცოცხლება“, მოსწავლეების ფანტაზიის უნარის განვითარება.
აქტივობა 2 **ვითვლით ზაფხულის არდადგებების ხანგრძლივობას**	მასწავლებელი ტექსტზე მუშაობის პროცესს ახდენს მათემატიკის საგანთან ინტეგრირებითაც და ერთ-ერთ აქტივობად სთავაზობს მოსწავლეებს, ტექსტში, პერსონაჟის მიერ განხორციელებული მათემატიკური მოქმედებები თავადაც განახორციელონ და გამოითვალონ ზაფხულის არდადეგების ხანგრძლივობა. სთავაზობს, თავად მოიფიქრონ ხერხები, როგორ შეუძლიათ დაითვალონ და შეარჩიონ მათგან სასურველი ხერხი. ჩაწერონ თვალსაჩინოდ ილუსტრაციის ან მაგალითის სახით. ამ აქტივობის მიზანია, ტექსტზე მრავალფეროვნად მუშაობა სასწავლო საგნების(ქართული, მათემატიკა, ხელოვნება) ინტეგრირებით.
აქტივობა 3 **,,ნეტავ რამე მოხდეს“ - სურვილის ასრულება**	<table><tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr></table> მასწავლებელთან ერთად, მოსწავლეები ცდილობენ მაქსიმალურად ახლოს გაიცნონ ტექსტის მთავარი პერსონაჟი - ინა. გაიაზრონ მისი ემოციური მდგომარეობა, მისი მახასიათებლები, შინაგანი სამყარო, სურვილები და ფიქრები. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს,

	✓ გასცენ რჩევები ინას მიმართ, თუ რა შეიძლება გააკეთოს მან თავისი მოსაწყენი ზაფხულის დღეების გასამრავალფეროვნებლად. ✓ მოიფიქრონ ისეთი რჩევები გოგონასთვის, რაც პერსონაჟს შესაძლებლობას მისცემს თავადაც გამხიარულდეს და თან გარე სამყაროსთვის რაიმე სასიკეთო გააკეთოს, რადგან მას ეს შეუძლია. აქტივობის მიზანია, მოსწავლეები დავაფიქროთ საკუთარ შესაძლებლობებში, რომ კარგ იდეას შეუძლია სიკეთის გაკეთება - როგორც საკუთარი ცხოვრების გასალამაზებლად, ასევე სხვებისთვისაც. იდეა, რომელიც შეუძლია ამბის პერსონაჟმა ინამ მოიფიქროს და განახორციელოს, შესაძლოა იყოს ის, რომ არ შერცხვეს საკუთარი თავის, საკუთარი მდგომარეობის, შეეცადოს, კლასელებთან საკუთარი შესაძლებლობები და ძლიერი მხარეები წარმოაჩინოს და აღარავის ემახსოვრება, რომ ის თუნდაც დაბალი სოციალური ფენის წარმოდგენელია, რომ ღარიბულ და ულამაზო დასახლებაში ცხოვრობს. მოსწავლეებს, ამ აქტივობის შეთავაზებით, უნდა ვუბიძგოთ დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ გააქტიურებენ პერსონაჟს. მას შეუძლია: - დასახლებაში მცხოვრები თანატოლები შეკრიბოს და მათთან ერთად დაასუფთავოს საერთო საცხოვრებელი გარემო, - მოხატონ ირგვლივ ყველაფერი, - შესაძლოა ჩართონ უფროსი ოჯახის წევრებიც და შეაკეთონ სკვერში განთავსებული გასართობი მოწყობილობები; - გააფერადონ შელახული გარემო, დარგონ ყვავილები, ნერგები. - თავად დაამზადონ ნარჩენების გამოყენებით ნაგვის ურნები და განალაგონ ირგვლივ. - დაწერონ მოწოდებები და შექმნან პლაკატები, გააკრან ირგვლივ, რათა ყველას ახსოვდეს, რომ ეს გარემო მათი საერთო საცხოვრებელია და ერთობლივ ზრუნვას საჭიროებს. ამ აქტივობის ფარგლებში, ბავშვები შეძლებენ დაფიქრდნენ დ გააცნობიერონ, თუ რამდენად დიდი ძალა აქვს ერთი იდეის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა გუნდს.